ბრძანება:**ბ115.115220144**
თარიღი:**14/01/2022**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძისათვის მოხელის კლასის მინიჭების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის, 58[1]-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N219 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად **ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მოხელის შეფასების შედეგების გათვალისწინებით 2019, 2020 და 2021 წლებში კარგი შეფასების საფუძველზე მიენიჭოს მოხელის I კლასი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს;
2. დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკლასო დანამატის (თანამდებობრივი სარგოს 1%) გაცემა 2022 წლის 01 იანვრიდან;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი